ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულება

ია ბერიძე
ფილოსოფიის დოქტორი,
ახალი უმაღლესი სასწავლებელი-ნიუუნის
ასოცირებული პროფესორი

ლია ჯანგებაშვილი
ფილოლოგიის დოქტორი,
გურამ თავართქილაძის სახელობის
სასწავლო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ობიექტური და სუბიექტური სამყაროს დაპირისპირება მარტინ ჰაიდეგერის „ყოფიერება და დროში"

ანოტაცია

მიუხედავად ცივილიზაციის შეუქცევადი პროგრესისა და მეცნიერულ – ტექნიკური განვითარების მაღალი დონისა, საზოგადოებაში ყოფიერების და ადამიანის ყოფიერებასთან მიმართების საკითხი პრობლემური და ბუნდოვანი გახდა.
ფილოსოფიაში ვის არ დაუსვამს ყოფიერების საკითხი. ამ სიტყვაში იგულისხმებოდა პირველარსებული, სხვა არსებულთა საწყისი, მაგრამ მარტინ ჰაიდეგერი პრინციპულად სხავს ეძებს. შესაბამისად, იძულებულია, გამოიყენოს სიტყვა ,,ყოფიერება," რომელსაც ახალ მნიშვნელობას მიაწერს. მისი მთავარი მიზანია, ყოფიერების საზრისის დადგენა. აღნიშნული პრობლემის ფილოსოფიური ხედვა ჩვენი დღევანდელობისთვის უმნიშვნელოვანესი აუცილებლობაა, რადგან ღირებულებათა გადაფასებამ უამრავი მოუგვარებელი პრობლემის წინაშე დააყენა ჩვენი საზოგადოება. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება, კიდევ ერთხელ თვალი გადავავლოთ მარტინ ჰაიდეგერის ,,ყოფიერება და დროს" იმ პუნქტებს, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მნიშვნელოვანი მიგნებები და თვალსაზრისებია გადმოცემული.

საკვანძო სიტყვები: ყოფიერება, ადამიანი, სუბიექტი, ობიექტი, ყოფნის სისტემის გაგება, ექსისტენცი, მუნყოფიერება, მასობრივი საზოგადოება, თავისუფლება.

ცხოვრება საზოგადოებრივი მასშტაბით ყოველთვის რაღაც გარკვეული გეზითა და მიმართულებით, ანუ, რაღაც იდეალის თანახმად მოძრაობს. ამას ემატება ისიც, რომ ცხოვრება ისტორიაა, ე. ი. მისი წარმმართველი ყოველი იდეალი მხოლოდ დროებითია. ჩვენი ცხოვრების მიმართულებას საფუძვლად ჩვენ მიერ ყოფნის სისტემის გაგება უდევს – როგორიცაა ყოფნის

სისტემის ჩვენეული გაგება, ისეთია ღირებულებათა ჩვენეული შეფასება, ისეთივეა ჩვენი ცხოვრების მიმართულება. აქედან გამომდინარე, არ ცდება მარტინ ჰაიდეგერი, როცა ,,ყოფნის გაგებას“ ადამიანის ფუნდამენტურ დახასიათებად მიიჩნევს და რადგანაც ყოფნის რაობის გაგება მუდამ იცვლება და ახლებურად გაიგება, იმდენად, ადამიანი მუდამ ახლებურად წარმართავს და ,,აშენებს“ თავის ცხოვრებას. რომელსაც ფილოსოფოსი ,,ექსისტენცს“ (eqsistenz) უწოდებს. ექსისტენციით, ანუ ყოფიერების რაღაცნაირი გაგებით, განსაზღვრული მხოლოდ ადამიანია. ადამიანი მუნყოფიერებაა – ნიშნავს, რომ იგი ერთადერთი არსებაა, რომელშიც ღიაა ყოფიერება. ამიტომ ადამიანის შინაგანი სტრუქტურის, ადამიანის ყოფიერების ანუ ექსისტენციის ანალიზმა უნდა გაანათოს ყოფიერებასთან მისასვლელი. ადამიანური ყოფიერების აღწერა შესაძლებელია არა კატეგორიებით, არამედ ექსისტენციალებით. ექსისტენციალები ადამიანური ყოფიერების მახასიათებელია. მათ მიეკუთვნება: ზრუნვა, სამყაროში გადაგდებულობა, მარტოობა, შიში, ძრწოლა, ,,მან“-ური ყოფიერება და სხვა. მუნყოფიერების სამყარო-ში-ყოფნის სახეებია: მონაწილეობა რაიმეში, დამზადება რაიმესი, დამუშავება ან მოვლა რაიმესი, გამოყენება რაიმესი, მიტოვება ან დაკარგვა რაიმესი, წამოწყება, განხორციელება, განკითხვა, განხილვა, შეფასება, განსაზღვრა...

მიუხედავად ცივილიზაციის შეუქცევადი პროგრესისა და მეცნიერულ – ტექნიკური განვითარების მაღალი დონისა, საზოგადოებაში ყოფიერების და ადამიანის ყოფიერებასთან მიმართების საკითხი პრობლემური და ბუნდოვანი გახდა.

ფილოსოფიაში ვის არ დაუსვამს ყოფიერების საკითხი. ამ სიტყვაში იგულისხმებოდა პირველარსებული, სხვა არსებულთა საწყისი, მაგრამ მარტინ ჰაიდეგერი (1889-1979) პრინციპულად სხავს ეძებს. შესაბამისად, იძულებულია, გამოიყენოს სიტყვა ,,ყოფიერება,“ რომელსაც ახალ მნიშვნელობას მიაწერს. მისი მთავარი მიზანია ყოფიერების საზრისის დადგენა. აღნიშნული პრობლემის ფილოსოფიური ხედვა ჩვენი დღევანდელობისთვის უმნიშვნელოვანესი აუცილებლობაა, რადგან ღირებულებათა გადაფასებამ უამრავი მოუგვარებელი პრობლემის წინაშე დააყენა ჩვენი საზოგადოება. სამყაროზე პასუხისმგებლობის საკითხი ცნობიერად თუ არაცნობიერად აქტუალური გახდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესო იქნება, კიდევ ერთხელ თვალი გადავავლოთ მარტინ ჰაიდეგერის ,,ყოფიერება და დროს“-ს იმ პუნქტებს, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე მნიშვნელოვანი მიგნებები და თვალსაზრისებია გადმოცემული.

ცხოვრება საზოგადოებრივი მასშტაბით ყოველთვის რაღაც გარკვეული გეზითა და მიმართულებით, ანუ, რაღაც იდეალის თანახმად მოძრაობს. ამას ემატება ისიც, რომ ცხოვრება ისტორიაა, ე. ი. მისი წარმმართველი ყოველი იდეალი მხოლოდ დროებითია. ჩვენი ცხოვრების მიმართულებას საფუძვლად ჩვენ მიერ ყოფნის სისტემის გაგება უდევს – როგორიცაა ყოფნის სისტემის ჩვენეული გაგება, ისეთია ღირებულებათა ჩვენეული შეფასება, ისეთივეა ჩვენი ცხოვრების მიმართულება. აქედან გამომდინარე, არ ცდება მარტინ ჰაიდეგერი, როცა ,,ყოფნის გაგებას“ ადამიანის ფუნდამენტურ დახასიათებად მიიჩნევს და რადგანაც ყოფნის რაობის გაგება მუდამ იცვლება და ახლებურად გაიგება, იმდენად, ადამიანი მუდამ ახლებურად წარმართავს და ,,აშენებს“ თავის ცხოვრებას. რომელსაც ფილოსოფოსი ,,ექსისტენცს“ (eqsistenz) უწოდებს. ექსისტენციით, ანუ ყოფიერების რაღაცნაირი გაგებით, განსაზღვრული მხოლოდ ადამიანია. ადამიანი მუნყოფიერება – ნიშნავს, რომ იგი ერთადერთი არსებაა, რომელშიც ღიაა ყოფიერება. ამიტომ ადამიანის შინაგანი სტრუქტურის, ადამიანის ყოფიერების ანუ ექსისტენციის ანალიზმა უნდა გაანათოს ყოფიერებასთან მისასვლელი. ადამიანური ყოფიერების აღწერა შესაძლებელია არა კატეგორიებით, არამედ ექსისტენციალებით. ექსისტენციალები ადამიანური ყოფიერების მახასიათებელია. მათ მიეკუთვნება: ზრუნვა, სამყაროში გადაგდებულობა, მარტოობა, შიში, ძრწოლა, ,,მან“-ური ყოფიერება და სხვა. მუნყოფიერების სამყარო-ში-ყოფნის სახეებია: მონაწილეობა რაიმეში, დამზადება რაიმესი, დამუშავება ან მოვლა რაიმესი, გამოყენება რაიმესი, მიტოვება ან დაკარგვა რაიმესი, წამოწყება, განხორციელება, განკითხვა, განხილვა, შეფასება, განსაზღვრა...

მარტინ ჰაიდეგერი ,,ყოფიერება და დროში“ ახასიათებს კონკრეტული ადამიანური ინდივიდის ექსისტენცს,გამომდინარეობიექტურიდასუბიექტურისამყაროსპრინციპულიდაპირისპირებიდან. მისი აზრით, ნებისმიერი ადამიანური არსებობა ყოველთვის დაკავშირებულია რაღაც გარეგნულ სინამდვილესთან (განსხვავებით ცხოველისაგან). ინდივიდი ფლობს და აცნობიერებს „თავის არსებობას“, თავის ავტონომიურობას, თავისებურებას, განსხვავებულობას ყველაფერი იმისადმი, რაც ,,არ არის ჩემი“. ბლეზ პასკალის (1623-1662) სიტყვებით რომ ვთქვათ, ,,მთელი ჩვენი ღირსება აზროვნებაა. სწორედ აზრი გვამაღლებს ჩვენ და არა დრო და სივრცე, რომელშიც ჩაკარგულნი ვართ“[1]. ამ ცნობიერების წყალობით, ,,კოგიტო“ ფორმირდება, განსაზღვრავს თავს ადამიანის, პიროვნების შიგნით. ინდივიდი, რომელიც არსებობს საგნობრივ სამყაროსა და სხვა ადამიანებს შორის, უნდა იაზრებდეს თავისი არსებობის ფუნდამენტურ საკითხებს. პირველ რიგში, იმას, რომ ის ,,გადაგდებულია სამყაროში“. იგი თავისთავად არანაირად არ არის განსაზღვრული, არა აქვს არანაირი წესრიგი და აზრი. მეორე რიგში, ის უნდა აცნობიერებდეს, რომ თავად მისი არსებობის ფაქტი, ამ სამყაროში არსებობის ფაქტი, სახელდობრ, მოცემულ დროსა და მოცემულ ადგილზე, მოცემულ ოჯახში, მოცემულ საზოგადოებრივ გარემოში გამომდინარეობს არა გაცნობიერებული არჩევნიდან, არამედ -- პირიქით, იგი ,,გარედან თავსმოხვეული“ არსებობაა. ის თავისი ბუნებით სრულიად შემთხვევითი და ,,აბსურდულია.“ მესამე რიგში, ადამიანი უნდა ხედავდეს, რომ არსებობს თავისი წყალობით და თავისთვის. მეოთხე: მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდი საჭიროებს სხვა ადამიანებს, ის გარკვეული აზრით ვალდებულია მათთან ერთად იცხოვროს (თანაყოფიერება) და ითანამშრომლოს მათთან, სინამდვილეში საქმე სხვაგვარადაა: მას სიამოვნებას არ ჰგვრის მათთან ყოველდღიური ურთიერთობა, უფრო მეტიც, კოლექტიური ცხოვრება ხელს უშლის ადამიანის ჭეშმარიტ, ნამდვილ არსებობას, და ბოლოს, ადამიანი უნდა აცნობიერებდეს, რომ იგი მოკვდავია, წარმავალია. და ეს წარმავლობა ერთი ინდივიდის კი არა, ,,ყველასია“. მისი არსებობა ოდესღაც დასრულდება.

კონკრეტული ინდივიდი სამყაროსაგან მზამზარეულად ვერ იღებს საგანთა საზრისს ვერც საკუთარ ცხოვრებისა და ვერც სამყაროს ხდომილებათა შესახებ. იღებს მხოლოდ იმ საზრისს, რომელსაც თავად დებს სამყაროში. ადამიანური ყოფიერება მოიპოვება მის არსებობაში, სახელდობრ, ერთადერთი ჩემი არსებობა არის ის, რაც არსებობს, ხოლო ის, რაც არსებობს, განსაზღვრავს ყველაფერს.[2] თავად ფაქტი ჩემი არსებობისა, ასევე, არ ნიშნავს ჩემთვის არაფერს განსხვავებულს გარდა იმისა, რომ შემიძლია თვითნებურად განვმარტო ეს ჩემი არსებობა, ის ჩემ წინ სხვადასხვა გზას გადაშლის, მაძლევს უამრავ შესაძლებლობას. ხოლო ის, თუ რომელ მათგანს ავირჩევ მე, დამოკიდებულია მხოლოდ ჩემზე. სახელდობრ, მე თავისუფალი და მარტო ვარ.[3]

ამასვე ამტკიცებს ჟან – პოლ სარტრი (1905-1980). მისი ხედვით, ერთადერთი დამკანონებელი თავის ქცევაში, ერთადერთი წყარო ყველა ღირებულებისა და მორალური შეფასებისა არის მხოლოდ ადამიანური ინდივიდი. „მე ვიყავი ერთი ერთზე; მე თვითონ მივიღე გადაწყვეტილება, ამერჩია ბოროტება; მე თვითონვე ჩავიდინე სიკეთე; თვითონვე ვითაღლითე; თვითონვე ჩავიდინე სასწაული; მე თვითონვე გავასამართლე და მე თვითონვე შემიძლია ჩემს თავს მოვაშორო ცოდვები; მე ადამიანი ვარ,“ – ვკითხულობთ მის დიალოგში ,,ბატონ ღმერთთან.“ სარტრის აზრით, ,,ჩემი არსებობა არის საკმარისი გარანტია ღმერთის არარსებობისა და პირიქით: თუ არსებობს ადამიანი, მაშინ არ შეუძლია იარსებოს ღმერთს და თუ არსებობს ღმერთი, მაშინ ადამიანი ეს არარაა!“[4] მარტინ ჰაიდეგერისა და ჟან-პოლ სარტრის მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ვასკვნით, რომ მე სხვისი დახმარების გარეშე უნდა განვსაზღვრო ჩემი დამოკიდებულება სამყაროსთან და სხვა ადამიანებთან, რომელთა შორისაც აღმოვჩნდი გადაგდებული და ამაშივე არის ძირითადი განსხვავება საგნობრივ სამყაროსა და ადამიანურ სამყაროს შორის. საგნები მხოლოდ ,,არიან“, რამდენადაც მათ ახასიათებთ პასიურობა. არსებობს მხოლოდ ადამიანი, როგორც აქტიური სუბიექტურობა, რომლის ცხოვრება შესაძლებლობათა არჩევანია. ის ირჩევს იმას, რაც უნდა და მოქმედებს ისე, როგორც უნდა.ადამიანის არსი უნდა გაიხსნას. მაშინ გახსნის იგი საკუთარ თავსაც და სხვასაც. ადამიანი შეიძლება განვსაზღვროთ გარედან, როგორც მხოლოდ

,,არარა," ,,არაყოფიერი," როგორც არარას წარმომადგენელი. ვინაიდან Dasein ,,ყოფიერება" არა უბრალოდ არის, როგორც ჩვეულებრივი საგნები, არამედ ის გამოხატავს არსებობას, რომელიც არის ჩემი.

მაშასადამე, ჰაიდეგერთან ადამიანი – ეს არის უბრალოდ პროექცია საკუთარი გაცნობიერებული არჩევანისა. ხოლო მისი სამყარო – ეს არის ,,აზრმიცემული არარა." საგნები ადამიანს წარმოუდგება არა როგორც ობიექტი მისი ,,მეტაფიზიკური რეფლექსიისა," არამედ -- როგორც ობიექტები მისი მანიპულაციებისა, როგორც მისდამი დამორჩილებული ყოფიერება. ჩვენი ცოდნა ბუნების შესახებ და ყველაფერზე, რაც ეკუთვნის გარეგანს, არის მხოლოდ რეზულტატი ჩვენი სწრაფვისა, ვისარგებლოთ საგნებით.

მარტინ ჰაიდეგერის ექსისტენციალიზმი უსიტყვოდ არის რეაქცია საგნადქცეულ ადამიანზე, მისი როლის ჩამოქვეითებაზე ,,მიწისქვეშა ლაბირინთის თხუნელის" როლამდე. ადამიანის როლი თხუნელის როლამდე დაიყვანა ბიჰევიორიზმის ვულგარულმა ნატურალიზმმა. ეს არის რეაქცია ბურჟუაზიულ – ემპირიული სოციოლოგიისა და სოციოლოგიურ ნატურალიზმზე, რომელიც ადამიანის პიროვნებას უყურებს, როგორც ჩვეულებრივ, მრავალმხრივ მოქმედ სოციალური სისტემის რგოლს და რომელიც არის რეაქცია ლოგიკურ პოზიტივიზმზე. ლოგიკური პოზიტივიზმი კი ცდილობს, აღწეროს ადამიანური სამყარო კერძო მეცნიერების კატეგორიების დახმარებით. ის არის, ასევე, პროტესტი სამყაროს სციენტისტური თეორიის წინააღმდეგ, რომლის თანახმად, მეცნიერულ – ტექნიკური რევოლუცია ავტომატურად წყვეტს თანამედროვე ადამიანის ყველა მორალურ პრობლემას.[5]

მარტინ ჰაიდეგერი ფილოსოფიური ენით მიუთითებს სოციოლოგების მიერ გამოაშკარავებულ თანამედროვე ცივილიზაციის მოქმედების მექანიზმსა და ,,მასობრივი საზოგადოების" ცხოვრებისათვის დამახასიათებელ მასების ამორფიზაციაზე, რომელიც წარმოიშობა შემთხვევითი, ამორფული თავყრილობებით, სადაც ლიკვიდირებულია ნამდვილი კავშირები და ჭეშმარიტი თავისუფლება, გათანაბრებულია განსხვავება გემოვნებაში, გამოხედვასა და ინდივიდების პოზიციაში. ფილოსოფოსი აღწერს იმ მექანიზმს, რომელიც ,,ბანალურობის ზღვაში ანიავებს" ინდივიდის არსებობას. მარტინ ჰაიდეგერი აჩვენებს, ყველაფერი ეს როგორ ბადებს მორალურ, იდეოლოგიურსა და ეთიკურ – ყოფით დაცემას. როგორ ხდის ადამიანის მისწრაფებებს ტრივიალურს და ყველაფერ ამას როგორ მიჰყავს ინდივიდი გაქრობამდე და, ამასთან, ჰუმანური ღირებულებების უარყოფამდე.

მარტინ ჰაიდეგერი ადამიანთა თანაარსებობას აღნიშნავს ტერმინით ,,Das man" (უპიროვნო). ეს არის არსებობის უბრალო ფორმა, რომელშიც ადამიანი პასიურად ეგუება საშუალოობას, მუდმივად იმეორებს ჩვეულებად გადაქცეულ მოქმედებას, სიტყვებსა და ჟესტებს. ამიტომ ის კარგავს თავის პირად ინდივიდუალობას, კარგავს მას ყოველდღიურ ანონიმურობაში. ცხოვრების ამ შაბლონურ სახეს ის იღებს, როგორც ,,მარადიულს," ,,ბუნებრივს" და ეჭვი არ ეპარება მასში. პირიქით, ის გრძნობს თავს მშვიდად და ბედნიერად.

ნათელია, მასობრივი საზოგადოების ეს მოჩვენებითი სიმშვიდე, კონფორმიზმი უფლებას აძლევს ინდივიდს, დაუმალოს თავის თავს, რომ ,,გადაგდებული" და ,,მარტოა" ამ სამყაროში. მოკლედ რომ ვთქვათ, დრამატიზმის შეგრძნებას ბადებს ადამიანში, იმის განცდას, რომ მან ერთხელ, როცა იქნება, უნდა დატოვოს ეს სამყარო, იგი განწირულია მუდმივი ზრუნვისათვის და დამოუკიდებელია არჩევანში. როგორც ჰაიდეგერი წერს, განუწყვეტელი მცდელობა ადამიანისა, გაექცეს თავისუფლებას, თავის თავში არსებულ სინამდვილეს,თუმცა ინდივიდი შეიძლება გამოაფხიზლოს ახლობლის სიკვდილმა ამ მიძინებული ყოფიდან, აჩვენოს მას თავისი მარტოობა და არსებობის აბსურდულობა. მაშინ წარმოიშობა განგაში, რომელიც ამოგვრთავს ,,მანის" ხელისუფლებიდან, გამოგვყოფს სხვებისაგან, მაშინ ჩვენი არსებობა წინ გვიშლის ცხოვრების ყველა ჭეშმარიტებას.

როგორც ჭეშმარიტი ცხოვრება, ისე გაქცევა ჭეშმარიტებისგან კაცობრიობის არსებობის ორი შესაძლებლობაა, რადგან ადამიანს ყოველთვის შეუძლია თავის არსებობაში აირჩიოს და სწვდეს თავის თავს, ან პირიქით – დაკარგოს თავი. ამიტომ მარტინ ჰაიდეგერისათვის არსებობის ორი

მოდუსი: 1. ჭეშმარიტი არსებობა და 2. არაჭეშმარიტი არსებობა. არაჭეშმარიტი არსებობის დროს ადამიანი თავის ფუნდამენტურ ცნობიერებას გზადაგზა კარგავს. ჭეშმარიტი ყოფნა კი ვაჟკაცობაა, აიღო შენს თავზე პასუხისმგებლობა. ჭეშმარიტი ადამიანია ის, ვინც გარედან განსაზღვრულით კი არ მოქმედებს, გარედან გაპირობებულ გადაწყვეტილებებს კი არ იღებს, არამედ თავისუფალია თავის არჩევანსა და დასკვნებში. მხოლოდ ჭეშმარიტი ადამიანია თავისუფალი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, რადგან მან იცის, რომ მარტოა და განწირულია სიკვდილისათვის, თავისუფალია, რადგან არ განიცდის უპიროვნოს გავლენას, არ ფიქრობს გარედან მოხვეულ კატეგორიებზე. ნათლად აცნობიერებს, რომ მისი ნაბიჯები გამოხატავს მხოლოდ მას თვითონ და სხვას არაფერს, რომ ჭეშმარიტი ურთიერთობა შეუძლებელია სხვებთან მის ყოველდღიურ არსებობაში, შესაძლებელი მხოლოდ თანაარსებობაა.

მარტინ ჰაიდეგერს, რა თქმა უნდა, კარგად ესმის, რომ ადამიანს სჭირდება სხვა ადამიანი იმისთვის, რომ ბიოლოგიურად იარსებოს. ადამიანს სურს რაიმე ასპექტით ურთიერთობა მეორესთან, სურს თანა-ყოფიერება, მაგრამ მისი ქმედებისა და სურვილების საყრდენი ეგოიზმია, ,,მეს“ დაკმაყოფილებაა. ადამიანური გაერთიანებების მიზანიც ისაა, რომ გამოიყენოს ინდივიდები საკუთარი მისწრაფებების დასაკმაყოფილებლად. ერთი მეორეს უყურებს, როგორც საშუალებას და არა -- როგორც მიზანს. როგორც ავტორი ამბობს, შეუძლებელია ჭეშმარიტი ურთიერთობა, შესაძლებელია მხოლოდ თანა-ყოფიერება. იშვიათია მაგალითი ჭეშმარიტი თანამშრომლობისა, სიყვარულისა და თვითგაწირვისა, რომელიც არსებობდა რაღაც ცალკეულ შემთხვევებში (სტიქიურ უბედურებებში, ოჯახურ ან პირად ტრაგედიებში). თუ სურს ადამიანს, იცხოვროს ჭეშმარიტი ცხოვრებით, ის უნდა გაექცეს ,,მასას,“ რომელიც ადამინური კოლექტივის მსგავია. ადამიანმა უნდა შეინარჩუნოს ჭეშმარიტი ცხოვრების იერსახე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰაიდეგერი მ, ყოფიერება და დრო, გერმანულიდან თარგმნა გ. თევზაძემ. თბ., 1989;
2. ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ტ. I; ტ.III; საქ. მეც. აკადემია, ფილოსოფიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მეცნიერება,“თბ. 1970.
3. XX საუკუნის ბურჟუაზიული ფილოსოფია,საქ. მეც. აკადემია, ფილოსოფიის ინსტიტუტის გამომცემლობა „მეცნიერება,“თბ. 1970.
4. პასკალი ბ., აზრები, თბ.,1981;
5. Тадеуш М., Ярошевский, «личность и общество». Москва, 1973.